



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი ზაფთი. გამოდის ჟოველ კვირა დღეს.

№ 10.

თებერვალი 27, 1894 წ.

№ 10.

შინაარსი: ავადმყოფი მგოსანი, ლექსი აკაკისა, —საყურადღებო ამაგი, —წიგნების გავრცელების საქმე ჩვენში პეტრე-პავლ ძესი. — ჩემი თავგადასავალი აკაკისა. — მოგზაურობა შვეიცარიაში სწავლავარგოთელისა. — წმინდა მწყე არჩილი — ყვენობა (საყვედიერო სცენა). — ტასო (მოთხრობა) დეტუ მგერულისა. — გორღის მხარე და ყორღისუბი. — კრიტიკა (პნელო) ხომლე-ლისა. — სახუმრო გასართობი — განცხადებანი.

ავადმყოფი მგოსანი



მელი შეეპირო, უპირო,
ამრეეო გზა და კვლისა!
სულის ნუ ამომხდი, მაკალე
დახამხამება თულისა!..

—
აჩრდილი-ლა ვარ წარსულის
და ლანდი მომავლისა!..
ვის შერჩენია, მე შერჩენს
გადახდა სოფლის ვალისა?

—
მაგრამ სურვილია მომხიზლა
ტრუ მოიმედე ხელისა;
ჩამიხმატკბილა ჩანგურმა
და გული გამიხალისა:

—
ჩანგურო! ჩემო ჩანგურო!
ოცნების ზღვაში მსურავო!

შენი კრინ-მანკი წკრალი,
ხელ-ახლად მომეწყურაო,

—
ჯორა გაქვს ია-ვარდისა,
სიმი — ბულბულის ენაო;
ფრთები არწივის გასხია —
შეგშენის აღმა-ფრენაო: —

—
შიმოფრენ, მეც თან-დაცეავარ,
წამის-წამ, კიდის-კიდესო: —
ველარ მერევა სიკვდილი
მე შენსა გადამკიდესო!..

—
დიდება შენსა მოვლენას,
ციურო, ტბილო ძალაო!..
დააღნა გული შენს სიმებს
და სული დაიცალო.

საყურადღებო ამბავი

წვერნი კაცაზი“ გეაუწყებს ფრიად სასიამოვნო ამბავს, რომ კაცავში იქაურ ეპისკოპოს უბრძანებია, რომ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელმა ნ. ფხაკაძემ კერაობით უქადგოს ხალხს ქართულ ენაზე, რადგან ქართველებს იქ არც საყდარი აქვთ და არც ღვდელი ჰქვიათ. ამ ქადაგებზე დიდ-ძალი ქართველობა ესწრება და მოწოდნივც შექმნილან, რომ თავიანთი საყურადღებო საყდარი აიშენონ.



წიგნების გამრავლების სამეც ჩვენში.

ყო დრო და დიდი ხანიც არ არის მას აქეთ, რაც საქართველოს არა თუ დაბა-სოფლებში, არამედ ქალაქებშიაც კი დიოგენის ფარნით საძებნელი იყო დაბეჭდილი ქართული წიგნი. ხალხი მოკლებული იყო ქართულ წიგნებს და მხოლოდ ადამის დროდან გაზვიარებულ ავეჯების ტყაოსნის“; „ეისრამიანის“; „ქილილა და დამანის“ და სხვა ამ გვარი ძველი ნაწერებში იქცედა თავს. თუმცა ჩვენს საზოგადოებას შედარებით ძლიერ დაძველებული იყო სწავლა-განათლების მხრით, მაგრამ დაკვირვებულ თვალს მაშინაც არ დარჩებოდა შეუნიშნავი, რომ ხალხში იყო სურვილი წიგნების კითხვისა. რომ ამ პირველ ხანაში ჩვენს ხალხში იყო წიგნების კითხვის სურვილი და ეს სურვილი ერთობ ძლიერც იყო, ერთი ამის უტყუარ საბუთად შევიძლია დავასახელოთ ის გავრცობა, რომ ჩვენს მოსულებში ძლიერ იშვიათად შეხედვებით ისეთს წერა-კითხვის მკოდნეს, რომელსაც „ევეჯის ტყაოსანი“ და სხვა ძველი ნაწერები არ წაეკითხოს. ბევრს ჩვენს მოხუცებს დღესაც კარგად ახსოვთ „ევეჯის ტყაოსნის უფრო საყურადღებო ადგილები. ეს გავრცობა შეიძლება ვინმემ თვითონ წიგნის სიმეწერის და მომზიბლედ ძალას მიაწვიროს, მაგრამ ჩვენ კ'გაბედვით შეგვიძლია ეტყუათ, რომ ამ შემთხვევაში რამდენათაც წიგნის ღირსება მიზნზე, იმდენადვე პატეოსადები საბუთია სხვა საკითხავი წიგნების უქონლობა.

როგორც მოსალოდნელიც იყო, ხალხში სკოლებისა და წერა-კითხვის გავრცელებას თან მოჰყვა გავრცელებული სურვილი წიგნების კითხვისა; ხალხს უნდა და გასცილებოდა ძველს, ბეშობიდანვე გაზვიარებულ წიგნებს და ამ სურვილმა კიდევ დაზადა ჩვენში წიგნების გამომცემლები, რომელთაც შეიძლება პირადის სარგებლობის სურვილით, (რაც უფრო იტყვ

გარეშეა), მოჰკიდეს ხელი ამ ფრიად სასურველ საქმეს და თავისდა უნებურად გახვეწ წინა-მორბედათ ხალხის უფრო დიდებულ და სასურველი მერამისისა — ხალხის განგებრივი წინმსვლელობისა. ამ პირველ ხანას ეკუთვნის: ბ-ნი ზ. ჭიჭინაძე, ბ-ნი გრ. ჩარკიანი, ს. მდივანოვი, ახაბტელოვი და სხვები. თუმცა აქ ისიც კი უნდა ითქვას, თუ რა წიგნებს სცემდნენ და რა ჭკუა-განების საზრდოს აწვდიდნენ საზოგადოებას ეს გამომცემლები (ნამეტურ ეს უკანასკნელები). ხალხს დღესაც არა აქვს დაღვიწყებული ახაბტელოვის ნაწერები, „ისიზმრის ახსნა“, „აქალ-ეჟიანი“, და სხ. (ამ წიგნაკების ოდენა მუშტარი ძნელად თუ რომელიმე ქართულ წიგნს მოგაგებება). მართალია, ეს წიგნები, როგორც ერთხა ჩვენმა საუკეთესო ლიტერატორმაც მიზრძანა, უნდა განდევნილ იქნეს საზოგადოებიდან, როგორც ხალხის ჭკუა-განებისთვის მავნებელი საზრდოაო, მაგრამ ამ წიგნებს და ამ პირველ ხანასაც აქვს ხალხის განგებრივი წინ-მსვლელობისთვის თავისი მნიშვნელობა. ვინ არ იცის, რომ ახაბტელოვის წიგნები დიდ-ზიანს აძლევდნენ საზოგადოებას, როგორც ცრუ-მორაწმუნეობის გამაგრებელი იარაღი, მაგრამ იმავე დროს იგივე წიგნები იყვენ ქართული წერა-კითხვის გამაგრებულნი, რომლის მეშენებითაც ხალხი კითხვას ეჩვეოდა. აბა, რომელს ჩვენგანს, მკითხველო, არ წუთკითხვას ბეშობაზედ „ეჟიანის“ რომელიმე კარი და იქიდან არ შექმნივა ქართული წიგნების კითხვას? სხვის რა მოგახსენოთ და მე, ამ სტრიქონების დამწერს კი დედა ენაში ამოსაღების გათავებასათავე დამაწყებინეს „ეჟიანის“ კითხვ; რომლის მეოხებითაც ზამთრის გრძელ დამეგებში გავართობდი მსმენლებს.

რაც უნდა ცუდი და მავნებელი ყოფილიყო მათი მოჰქედება, ჩვენ მაინც გაბედვით ვიტყვით, რომ ეს ზემოხსენებული გამომცემლები თავის დროზე დიდ სარგებლობას უწევდნენ საზოგადოებას; მაგრამ რაკი ისინი ერთხელვე ამოჩემებული წიგნების გამომცემას არ შორდებოდნენ და ხალხში კი დღითი-დღემ იზრდებოდა ახალ-ახალი წიგნების კითხვის სურვილი, ისინი (გამომცემლები) დროს ჩამორჩნენ და წიგნების გავრცელების საქმე ისევ ტატიონ მიდიოდა. მაგრამ საბედნიეროთ ჩვენის ერისა, ეს ნაკლი არ დარჩა შეუნიშნავი მაშინდელ ჩვენს ინტელიგენციას, რომლის სახელიც მაშინ ერთი „ბოლუჯა“ იყო და რომელმაც დროა გამოშვებით დაუწყო სამშობლოს ერს სხვადასხვა სასარგებლო წიგნების*) და პერიო-

*) სსკა-და-სსკა მიხეიკუის გამო ჩვენ აქ არა გვაქვს შეკლება ჩამოგავალით უკვლას ის წიგნები, რომ

დულ გამოცემების მოწოდება. დილ, თუმცა ამ ერთმა ბლუჯამ, მაგრამ იდეალებითა და ხალხის წინ მსიღელლობის სურვილით გატაცებულმა ინტელიგენციამ, დინახა თუ არა ხალხს სურვილი აღედგინათ წიგნების კითხვის, მაშინვე დაარსა რამოდენიმე პერიოდული გამოცემა, მაგალითად: „სიკარი“ „გუონის დედა“, „საქართველოს მოამბე“, „დროება“ „კრებული“ „სასოფლო განათა“, „მართობი“, „რეჩია“, „იდეი“, „ნობათი“, „ქართული ბიბლიოთეკა, და სხვა *)...

მაგრამ ყოველი ეს ცდა და შრომა ჩენის ინტელიგენციის ხალხისთვის მხოლოდ მშვიდობისთვის ერთ მადის აღმძვრელ ლუკმად გამოდგა და მეტი არაფერი, რადგანაც ხალხში დღით-დღე იზრდებოდა ეს ბედნიერ დღეზე დაბადებული წიგნების კითხვის სურვილი—და დღით-დღე შეუძლებელიც ხდებოდა მისი დამყავილება. ყველა ხელადა, რომ აქ მართო კერძო პირების ცდა და შრომა მხოლოდ ზღაპრში ერთი წვეთის გადაღება იყო... და საუბედურად არც ამ კერძო პირების რიცხვი იყო დიდი, გარდა სხენებული განვითების რედაქტორებისა. ნ. ქვარცხელიანი და გათავდა! მართალია ახლაც იყვენ: „ახანტლოვები“, მაგრამ ისინი ხო „ქალ-ვაჟიანებს“ და „სიმზრის ახსნას“ არ შორდებოდენ. ამიტომაც ეს ძლიერი ხალხის მოთხოვნილება ვერ იქმნა დაკმაყოფილებული, აღარ დავტა თავის კალაოტში, მოტრეფელ და საქმე იქამდის მივიდა, რომ ჩვენს ინტელიგენციას (ახლა კი უფრო მაღ-ღონე მოკრფილს) მოასმევინა თავზე ხელი და დაავიქრა. აი, ამ ხალხის ძლიერი და წრეს გადასული სურვილის ნაყოფი განხლავთ დღეს ის წიგნების გამოცემელი ქართველთა ამხანაგობები, რომელნიც თბილისში და ქუთაისში არსებობენ და, ვინ იცის, იქნება კიდევ მეტიც იქნეს საქართველოს სხვა-და-სხვა

კუთხებში *), თუმცა, საუბედუროდ უნდა ესთქვათ, რომ ცერც ეს გამოცემელი ამხანაგობები ასრულებენ თავის პირდაპირ დანიშნულებას, რადგანაც სახალხო წიგნების გამოცემაზედ ჯერ-ჯერობით ძლიერ შემომწყრალი ბრძანდებიან.

აბა, ლეთის გულისათვის გვიბრძანეთ, რა სახალხო გამოცემა უნდა ეწოდოდა თბილისის გამოცემელ ამხანაგობის მიერ გამოცემულ წიგნებს: მაგალითად „ყაზბეგის“, ილ. ჭაქვაძის, აკაკი წერეთლის და სხვა ამ გვარ ძვირფას წიგნებს? ამ საკანზე ჩვენ წარსულ წელიწადშიაც გავკრით წარმოსთქვითი გენი ასრი და დღესაც უნდა ესთქვათ, რომ ასეთი ძვირფასი წიგნების შექმნა მდამბო ხალხისთვის თითქმის შეუძლებელია—და თუ ხალხში წიგნები იყიდება, ეს მხოლოდ იმავე წრეს გადასული წიგნების კითხვის სურვილით აიხსნება და მეტი არაფრით; მაშინ როდესაც ყველა ამ თხზულების შექმნა ყოველ გლგხს შეეძლებოდა, თუ ეს თხზულებები პატარ-პატარა წიგანებად გამოეცათ, როგორც მაგალითად: „გლახის ნამამობი“ „აკაია აღამინი?“, „მოთარაანთ ქვირი“ „მულუჯა“ „ცოკა“, „ქოლისა“, „მოქალაქი“, „ქოკალის ნამამობი“ „თორნიკე“ „პატარა, კახი“ და სხვა... აბა, რა გასაკვირი იქნებოდა გლგხისთვის შექმნა ამ თხზულებებისა, თუ ისინი ცალკე მოთხრობებად და წიგნებად გამოეცათ და თითო წიგნი რამდენიმე ათი კაბეკი ღირებულებით? შეიძლება ვინმე იკვიროს, რომ ვისაც ამ რამდენიმე მოთხრობის ცალ-ცალკე შექმნა შეუძლია, ის მთელ წიგნსაც (ქართ. ანხ. გამოცემულს) იყიდის, რადგანაც ამ თითო წიგნში რამდენიმე მოთხრობაა ერთად მოთავსებული; მაგრამ ამაზე ჩვენ მცირე მაგალითით შეგვიძლია ვავით პასუხი: ვინ არ იცის, რომ წულს (ჩუსტები) წაღები სჯობია და უფრო იაფადაც დაუჯდება გლგხს, რადგანაც ერთი ხუთა-ექვსი მანეთიანი წაღა მთელ წე-

ქელნიც იყვენ გამოცემული ამ დროს სხვა-და-სხვა პირებისა; მაისიველს მიუთითებთ მხოლოდ „ჩანგურს“ და „რომელიც პეტრეოვსკი გამოცემა ჩვენის ევლას-გან პეტრეოვსკის კ. ბ. დორთქიანიის მიერ.

პეტროვი.

*) „სასოფლო განათა“ დასსა 1868 წ. ბ. ვ. კერძო: მ. თვის რედაქტორობით (მს. შედგენ კი ბ. უმეცაძის რედაქტორობით) და რან უფრო ძლიერ განავრცობდა და თითქმის შეუძლებელადც მივაქნინა მანდელ დროში, ევლა „სასოფლო განცხადების“ ურთველოდ, თურც მართალია, როცა რომელიმე სოფლის ჭამა მამასლისს ვინმე წაუთისავდა ამ განათაში სტატის, რომელმაც სოფლის მამასლისის ტელ-ცხელ მათარსეს უტარუნებდენ, მამას-

ლისი დაცინებით იტყოდა: „ჩვენ სომ ასეთები არ ვართ“ და, საუბედუროდ, სშირდ ამითი ისხლავრებად ამ განათის გაჯენს სოფლის განცხად მოსკლევებს; მაგრამ ჩვენ მაინც ეს მოქალს ებოჭად და გაბედულ ნახედად მივაქნინა ჩვენს დიტრატორში.

პეტროვი.

*) რომელიც ჩვენ ნამდვილად ვით, მლე განსორცთელვებებს ახრი, რომელიც ამს წინად „იკორინაში“ იყო წარმოთქმული ქართული წიგნების გამოცემელი ასადი ამხანაგობის დასრუების შესახებ. ეს ამხანაგობა იქნება ასოციაციური (асоциационное), რომლის მეჯსინიც ვერ არა აქვს ქართველობს. ვუსურვებთ განსორცთელვებს ამ ფრად სასარკებლო საქმისას.

პეტროვი.

ლიწადს ეყოფა, როცა იმავე დროს ხუთი და ექვსი წყვილი წულაუნდება, რაც ერთ ნახერად გადაჭარბებს წალბის ფასს? გლეხი წალბებს უფრო ეტანება. რა არის ამის მიზეზი? აი, ჩანს გვიასუხებს თეთრონ გლეხი: „რა ექნა ბატონო, მეც კარგად ვიცი, რომ წულას ჩექმები (ჩვენში წალბებს ჩექმებს ეძახიან) სჯობია, მაგრამ ერთად ფული ვერ მიშოენია და წულას ვსჯერდებიო“. თუ გლეხს ჰკითხეთ წოვნების შექმნაზედაც იმავე პასუხს მიიღებთ: „რა ექნა, ბატონო, იქნება ერთ წიგნად რომ რამდენიმე მოთხრობა ვიკიდო იფეთავ ცდამიჯდეს, მარა ერთად ფული ვერ მიშოენია და წერილ-წერილად რომ იყოს ძე ვიყიდვით. მაგრამ *ურემი რომ გადაბურუნდება, გზაც მასეცან გამოჩნდებაო* იტყვიან და მართალიც არის. სიბე-

რემდის ბრძენი არიენ ყოფილა და ჩვენ ვამომცემელ ამხანაგობასაც მიეტყვება ეს ზემოხსენებული შეცდომა. რაც უნდა იყოს ამ გამომცემელ ამხანაგობებმა დიდი და დაუფასებელი ლეაწლი დასდეს თავის მშობელ ქვეყანას; მხოლოდ სასურველია, რომ ეს ამხანაგობები * მომავალში მაინც ეცდებოდნენ სახალხო წიგნების გამოცემას (აქ ჩვენ სიტყვა „სახალხო“ მატერიალურის მხრით ვიხმარეთ).

პეტრუავალაძე
(შეწვევა)

*) ჩვენ აქ უფრო თბილისის ამხანაგობა გვქვს მსჯელობაში. რადგანაც ქუთაისის ამხანაგობაზე კერძო-ურემით არაფერი ვადაჭრადი არ შეიღება თქვას გვს.

ჩემი თავგადასავალი

ქოველი არის, სულიერი თუ უსულო, ხილული თუ უხილავი, ერთსა და იმავე სოფლიო კანონს ექვემდებარება: დაიბადება—იზრდება, და ბერდება—კვდება!.. წყალი რა არის?—წყალი!.. უბრალო მდინარეც კი ვერ ასცდენია ამ საყოველთაო წესს და რიგს: დაიბადება თუ არა, ე. ი, თავს იჩენს თუ არა სადმე მივარდნილ მთის კალთაზე, მაშინვე იწყებს ჟინვას ნელ-ნელა ახალ ფეხ-ადგმულ ბავშვით, დაუყვანს დამარბოს, თანდათან იზრდება, ფეხს იკიდებს, სანამ წკრიალით არ ჩაქუცუნულდება რომელსამე ხეში, სადაც როგორც აღვირ-უხსმელი, სისხლ-ჭარბი, თავ-მოწონი და შეუპოვარი, სანაეროდ გამოსული ჭბაუკი, აღარავის ეკრძაღვის... აღარაფერს ერიდება: მიზრბის და მიხლტის ღრიალ-კრიალით!.. უძრავ-ქვებს თავზე ველება და კლდობა კიდვებს თავ-გამეტებით აქეთ-იქით ესვლება, რომ გაგლოჯოს და გაიტანოს მისი მოწინააღმდეგე!.. მაგრამ ვერ შემძღობი ამისი ზართთა და ზემით ჭლებას-კენ მიეტანება.—აქ კი გაგულდიდებული, ღრმა კალაპატში ჩამჯდარი და გულ-საესე, ვაჭკაუარი მედიდურობით, მშვიდობიანად ტალღებს ტალღებით მიავარებს!.. მიდის, მიშუის ზღვისაკენ თავმცემული, შორი გზით მიმავლი, და რაც უფრო და უფრო უახლოვდება აუცილებელ სავანეს, თანდათან იჩენს აუჩქარებლობას, როგორც მოხუცი და ბოლოს კიდევ შეჩერდება ერთი-შეჩერება... ტბორავს, თითქოს უნდა, რომ უკანასკნელად ერთი კიდევ მოახედოს უკან; თვალს გადაავლოს თავის წარსულს, ფერდად გავლილ შორეულ-გზას, და მერე კი საუქუნოდ ჩაინთქას... ჩაღუპოს ზღვის უფსკრულში?!

მიყვარს საზოგადოდ ბავში, უგულითადაც პატრესა ესცემ მოხუცებულობას, ღირსეულად ეფუძეს ვაჭკაობას, მაგრამ გული კი ჭაბუკობისაკენ მიმწვევს და ყველაზე უფრო იმას შეფრქვევით ეტრფიალები!..

ალბთ იმის მიზეზი უნდა იყოს, რომ წყლებშიაც ყოველგვარ მდინარეს, გიქმავი ხევის წყალი მიორჩენია და მათში კი უპირატესობას; ერთს მათ განს, ჩიხურას ვაძღვე: ის იყო ჩემი საკუთარი ეშაზი და ჩემი პირველი სარკე.—

სწორეთ ამ ჩიხურის პირად, მაღლობზე დგას ორ-სართულიანი ქვეთკრის სახლი. ამ უშნო შენობას სინაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზის და სისქე ცოხის, მაგრამ არც ერთს მათვანს კი არა ჰგავს!.. აი, ამ სახლში დაუბადებულეფარ მე 9 ივნისს გათიადისას 1840-ში, თუმცა ნათლობის მოწმობაში კი 1841-თი მიწერია.—ნათქვამია: ადამის შვილი, განჩდება თუ არა ქვეყნად, მისი ბელის ვარსკვლავიც მაშინვე ცაზე იჭედება, წინასწარის ზედ წარწერთით!.. თუ ეს მართალია, იქვი არ არის, რომ ჩემს ვარსკვლავზედაც შემდეგი შიირი წერებულა:

ერთი რომ ცხოველი არის,
ხმას აწედენს შორით შორსაო
თავისთვის ჩოჩრის აყეთებს,
სხვისთვის კი კაი ჯორსაო.

იმ თავითვე დაებადებულეფარ თუ არა, ვაქის შექმნით განარებულს მამა ჩემს დიდი ხნის გარის ხული და სასახლიდან გაგდებული შინა-ყმა შეუჩოგებია და მე კი ბებნას მაშინვე გაულოხავარ. აი, როგორ მოჰყვებოდა ხოლომე ამ ამბავს განვიბირებულ ვამაო ჩვენოსავით“ ცხოვრებული გაღია ჩემი: ვამწ-

ცვალებ ჩემ კაცოს! (ბავშობისას კაცოს მეძახდნენ). ამის დაბადებაც სულ სხვანაირი იყო:ო. დაიბადა ერთი რაღაც დათვის-ბელა, ბაშის ქული. და ისე გაეკმინდა სული, რომ კრინტს არა სძრავდა! ეს თურქმენი მას ჰქვირობდა: საიდან სად მოველია? და ბებიას კი გულ-შემოყრილი ეგონა და ჩქმეტა დაუწყაო.. ერთი ორი კიდევ შემოუცატუნა ხელი და ძლივს ხმა ამოაღებინაო!.. ვის უნახავს ამის ტირილი? . სულ იცინოდაო!..“

ამას სხვებიც ამბობენ. დიად, სულ თურმე ვიკინოდი და ამ სიცილის ერთი კარგი უსიამოვნოც მოუხდენია: ერთხელ ჩამოსულა ჩვენსა მესობლის გამდელი და მოამკინარი რომ უნახავარ უთქვამს: „უიჰე!.. ჩემი ვაზდლი რუ მომიკვდება, ეს ბავში, ისე იცინის, რომ სწორეთ სულელი გამოვაო!..“ ჩემ გამზდელს სწყენია ეს და უპასუხნია: „როგორ თუ სულელია? ანგელოზია და ანგელოზებს შერუნისა... იმათ ეთამაშებოა!.. სულელემი ზოგი თქვენსკენ მოიკითხეთო და ხანია!.. წლამარაკებულან და სცემიან ერთმანეთს. ჩენი გამდელს ჩენი მისამსახურები მოხმარებინან, მგზობლისას — მათი; ბოლოს ქალბატონებიც ჩარეულან (ჩასაკვირველია მხოლოდ სიტყვითა და მუქარით და არა საქმით). ამ ამბავს მოუწევია ვეზბატონებამდინაც და ჩამოყარდნოა ორ-ოჯახ შუა დიდი უსიამოვნობა. აღარც თურმე ეკაობოდენ ერთმანეთს და აღარც ჰმასა სცემდენ!.. მხოლოდ თვედობობის კვირაში, ზიარების წინეთ, ოქტობარ მღვდლის ჩრებით შერიგებულან და მათ შინაც კიდევ მამა ჩემს სოფელში კაცი გაუგზავნია და შეუთულია ძიძისათვის: „აქ გამოგვავრე ჩემი ხითხითა ზიჰუნა, რომ მგზობლებმა ნახონ და მტრებს თვალები დაუყენოგო!“ გამოუყვანიერათ, მაგრამ წარმოიდგინეთ ყველას გაკვირებმა, რომ „ხით-ხითა ზიჰუნა“ ჩვეულების წინააღმდეგ ერთი ღიმილიც არ მოსულია, ისე თურმე ვყოფილვარ ვაზროებულსაეთ.

აქ ცხადია, რომ სოფელში ნამყოფ ათი თვის ბავშს სასახლეში ყოლიფერი მეუცხოებოდა და გამტრებული ვიქნებოდი. — მაგრამ ასე არ გაუგიათ და არ აუხსნიათ ჩვენებს!.. იმათ უფიქრიათ: ეს

სწორეთ შურისა და სიხარბის საქმეა, თვალი ჰკრეს, ვალაღსო და ისეე საჩქაროდ დაეუბრუნებინართ სოფელში. ძიძასაც გზაზე ერთ ვილაც მკითხათან გაუღვლია, გამოულოკვინებია; შეუბამთ ჩემთვის ყე-ლოზე ღინქოლა და მწარე-ბალი და მიუყვანიერათ სოფელში, შინ. იქ ჩასაკვირველია, მომბრუნებია გული და ისეე დამიწყია სიცილი. — ჩემი ძიძა დარწმუნებულა, რომ სწორეთ გასტრა შელოცვამ, გამობრუნდა ყმაწვილი ახლა, აღარა უქირს-ჩაო და მახარობელიც უფერენია სასახლისკენ.

„ძიძაბაბა“ და ყმაწვილის სოფელში ვაზარება ისტორიული ჩვეულება იყო ჩვენ ქვეყანაში: მეფეები და მთავრები ერისთავებს აზარებდენ და აზრდევინებდენ თავის შვილებს, ერისთავები და დიდებულები — აზარებებს და აზარებები გლვებებს. უფრო ხშირად კი თავადებიც გლვებებს აზრდევინებდენ! ნუ გგონიათ, რომ მაშინდელი მშობლები უფულო ყოფილებიყრან და შვილები დღევანდელ დღეებზე ნაღვლს ჰყვარებოდეთ!.. აქ სულ სხვა მიზეზი და საფუძველი იყო: ეს ვაზდლი-გამზდელიობა აკავშირებდა ერთმანეთთან სხვა-და-სხვა წოდებას. გარდა ნათელ-მირანობისა, თითქმის სისხლ-ხორცობაც არ მიანდა ხალხს ისე მტკიცე კავშირად, როგორც გამზდელ-ვაზდლიობა. არა თუ ძიძის შვილები და მათი ახლო მონათესაენი, მათი შორეული მოყვრებიც კი მზად იყვნენ შემთხვეული თათვი დაიდვით ვაზდლის გულსთათვის და ვაზდლიც მარად ექომაგებოდა ამ ხალხს და მისი ბრალია, რომ ამ უკანასკნელ საუკუნემდე ჩვენ ქვეყანაში უფრო კაცური და კეთილი განწყობილება იყო მაღალ და დაბალ წოდებას შუა, ვიდრე სხვა ქვეყნებში. — რათქმა უნდა, რომ ამ განიერული ჩვეულების მიზეზი იყო სოფელში ჩემი ვაზარებაც!.. და კურობეუ-ლიმც იყო ეს ჩვეულება!.. არ შემძლია, არ გამოვტყდე, რომ თუ კი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავ ვაზარებული და ერთად გლვებებს შეილებთან ვიზდებოდი.

(შემდეგ იქნება)

აჟი

მოგზაურობა შვეიცარიაში

II

სოფელ ში

ახლის ზემო საროული შედგება არა ნაკლებ 4-5 ოთახისა. თეთვეულ წვერს ოჯახისას, გარდა ცოლ-ქმრისა და ბავშვისა, მიჩნეილი აქვს საკუთარი საწოლი ოთახი, აქ იშვიათია, ერთ

ოთახში ორი კაცი იწევს. საზოგადოდ ევროპაში ამნაირი წესია და გლვობასაც, უქველია, ქალაქებიდან გადაულიათ. რაც უნდა დაბალი შეძლების გლვები იყოს თავის უმთავრეს მოვალეობად მიანია ცხოვრების ქალაქურად მიწყობა. გლვების ოთახში რომ შეხვიდეთ, ცოტა ვიწროვად გაგვიკვირდებათ. გვგონებათ ვილაც ბურჟუას სახლში ხართ და არა უბრალო სოფელისა. პირველად თქვენს ყურადღებას

მიიპყრობს გადაჯარბებული სიწმინდე. არსად მტერი და ნაფაგი, არც ერთი „ფინახა“ არ ადღია, სულ ყველაფერი დასუფთავებული-დალაგებულია. ოთახი გვარიანი მოზღვლია. იატაკი ხის აქვს, ქვრები თუმცა ხისაა, მაგრამ კირ-წყლით გაღისილია ორი ეგრ-შოკის სისქებზე და შემდეგ თეთრად არის შეღებილი კედლები ქვისაა, რასაკვირვლია, და „შალკით“ მოქალაღებულია. ფანჯარა ორი, ან ერთი და დიდი, შიგ ბუზარს ეგრ ხედავთ. აქ მოძრავი ბუზარი იციან, პატარა ოთხ-კუთხი, თეთრი ქვით აშენებული, ლულა თურქუანა აქვს და თეთრან ბუზარი ოთხ პაწაწინ-ტულა გოგორაზე არის შემდგარი. ზაფხულში შეინახენ, ზამთარში დადმენ, სადაც საჭიროა. ზოგ ოთახში თუჯის „ფერი“ დვას. ათბობენ შეშით და ქვიშაშირით. ზოგ ალავას მიიბრებს, რომ ნახშირით გათბობა უფრო იაფად უჯდებათ, ვინც შეშით, თუმცა შეშა ახლა აქვთ, თითქმის ტყეში ცხოვრობენ, მხოლოდ შეძლებულნი, ვისაც საკუთარი საშემე აქვს, შეშას ხმარობს. ბევრნი შეშას ქალაქში ყიდიან და ნახშირს ყიდულობენ. ოთახის ავეჯტულობას შეადგენენ: ორი-სამი უმცროსი უფროსი, ვალაქულ გადაფარებული სტოლი, რამდენიმე ჩალის (გენის) სკამი და ერთი-ორი საფარძელი, კუთხეში მიდგმული მაღალი შკაფი ტანისამოსისთვის, იქვე 2-4 უჯრიანი „კამაღი“, ტახტი რკინის და წინ ხალიჩა დაგებული, გვერდზე, კედლებზე, წმინდა ხალიჩა მიკრული, ხვერდელი ვაწყობილი დივანი, რომელზედაც პატარა-პატარა ბალიშები აწყია. ტახტზე, საზოგადოდ, ქვეშაეები გაშლილია და ლამაზად მიწყობილი: ზევით არის შალის საბანი (ქარხანაში დამზადებული), ქვეშ აქვს ამოფარებული თეთრი ტილოს ზეწარი, შემდეგ კიდევ ზეწარი, სცელი მატყლის ლები (ნალი) და სასოთხმალთან ბალიშები თეთრი პირით გადაკრული. კედლებზე შეამჩნევთ ლურსმით მიმგრებულ ფართო სარკეს და იქვე დაკიდულს კედლის საათს. ამგვარად აქვს გლეხს ვაწყობილი ოთახი. ეს იმისთვის ჩვეულებრივი და მიუცლებელია. ის ყველაფერს მოაკლებს, მაგრამ სუფთა და რიგიანი ბინას არასოდეს.

ერთი სტოლი დვას შუა ოთახში. გარეშემო სკამებია შემოწყობილი, ზედ დებს დიდი ლამაზად და სათუთუნე კოლოფი ჩვეულებით (ყალიონია). შევიცარიელი გლეხი პაპიროზის ქალაღს ეგრ ეწყობა, იმას პირში მუდამ ჩიბუხი აქვს. ჩიბუხი ლითონის, ან ხისგან არის გაკეთებული, ტარი მოკლე და მიღუნულ-მოღუნული. თუთუნი კი ეგრ არის კარგი. აქ ეგრ მოღის რიგიანი თუთუნი, ისეთი რბილი გამოდის, რომ ასე ჰგონია ხის გამხმარ ფოთოლს ეწყვიტა. უცხოეთის თამბაქოს დიდი ბაყი აქვს და გლეხისთვის ხელ-მიუწვდომელია. კე-

დელთან მიდგმულია მეორე სტოლი, ზედ აწყია საწერ-კალამი, ქალაღი და წიგნები; წიგნები ყოველ გვარს. გლეხს მიუცლებელ საჭიროდ მიიჩნია კანონის წიგნი. კანონები შესახებ გლეხის და მისი მოქმედების ერთად არის შეგროვილი და ცალკე წიგნად დასტამებული. ყველა მუხლი ახსნილი და გამარტებულია საყოველთაოდ გასაგებად. გლეხის წიგნთ-საკცვის უპირველეს წიგნს ეს შეადგენს. იშვიათად იპოვით იმისთანა გლეხს, რომელმაც არ იცოდეს ყოველივე წელი იმ სასოფლო და საკანტონო დაწესებულებების, როგორც სადმინისტრაცია ისე სამოქალაქო; სად რა საქმეები კეთდება, რომელი მოხელე რა უფლებით არის აღჭურვილი, თითონ გლეხს რა ალაგი უჭირავს საზოგადოებაში, რა შეუძლიათ მოსახლეობას მას და რა არა, რა წესს ექვემდებარება კომუნის სამმართველო და ს'ეა ამისთანა კითხვები გლეხისთვის ნათელი მოცული და გარკვეულია. ჩემს სახლის პატრონს კეთობე—რამდენს იხდის გლეხი წელიწადში ბევრას?

— ამის გამოთვლა ცოტა ძვიელია, რადგანაც ყველას თანასწორად არ ახდენიან; მე გათხოვებ ერთ წიგნს და თქვენ თვითონ გამოიანგარიშებთ საშუალო რიცხვს—მიასუსთა მოსაუბრებ. შემდეგ შევიდა თავის ოთახში და ერთი მოსქა წიგნი გამოიტანა, რომელშიაც სხვათა შორის, ანუსხული იყო ყოველივე შემოსავალ-გასავალი კომუნის და კანტონის; მოყვანილი იყო ქალაქთა და სოფელთა მცხოვრებთა რიცხვი და დაყოფილი როგორ-რიგად თანხმად შეძლებისა და საზოგადო მოთხოვნილებებისა. —ი, ეს არის ჩვენი კანონ-მდებლობის წიგნი, ვანაგზობ მან, კიდევ მაქვს ამაზედ უფრო შემოკლებულად დაბეჭდილი წიგნაი, რომელსაც სოფლას შკოლებშიაც ასწავლიან ბავშვებს.

გარდა ამ საჭირო წიგნისა გლეხის ოთახში ნახავთ შევიცარიის მოკლე ისტორიას. ძველი წარმოსაღწენია ის თუ რანაირად უყვარს შევიცარიელს თავის ქვეყნის ისტორია. ერთ თვეს რომ გესაუბროს ისტორიული ამბები არ დაეღეფა. ის კიდევაც ამაყობს თავის ისტორიით. —როგორ არ არის გასაკვირალი, რომ ასე პატარა ქვეყანამ ეცმა სახელმწიფოთა შორის თავისუფლება და დამოუკიდებლობა შეინახა? მიიხარა ერთმა შევიცარიელმა. ამისთვის იშვიათად იპოვით იმისთანა გლეხს, რომელმაც არ იცოდეს შევიცარიის დაარსების ამბავი. ერთმა მჩვენა სურათი, რომელიც წარმოადგენდა ტყვეს და სამ კაცს: ორ თეთრ წვერას ერთმანეთისთვის მიუცლიათ ხელი და მესამე ახალგაზდა შუაში ჩაუყენებიათ.

— რა არის ეს? ეკითხე. — ეს სამი კაცი არის სამი კანტონი: შევიცარი და უნტერვალდენი, რომელნიც

პირველად (1291წ.) შვეიცარიელები და ჩაყარეს საფუძველი დღევანდელი შვეიცარიისა.—ამისხნა მანვე. ისიც უნდა ითქვას, რომ ვერსად ვერ ნახავთ ქვეყანას, სადაც პროვინციალური პატრიოტიზმი ისე იყოს განვითარებული, როგორც აქ. ყველას თავისი კანტონი მოსწონს და სხვა კანტონზე მაღლა აყენებს. კანტონთა შორის სამშინლი ჯობრი და ბაძევა განათლებული; თვითნებური მთავანი ცდალობს რაიმე იმისთანა შემოიღოს, რომ სხვებისთვის სამავალითოდ დარჩეს. მაგრამ ამავე დროს უცხოელის წინაშე შვეიცარია აყვრიათ პირზე და არა კანტონი. არას დროს გლეხი არ გეტყვის ამა და ამ კანტონის ვერ, თუ პირდაპირ არ ჰკითხვის „კანტონი, ის ყოველთვის ამპარტანულად იტყვის „მე შვეიცარიელი ვარა“: მისი აზრით შვეიცარიისთანა ქვეყანა მთელ ხმელეთზე არ არის.


გლეხს უყვარს აკრეფე გეოგრაფია, სხვა-და-სხვა ქვეყნის აწერა. ამის მიზეზი ერთია ასე ამისხნა—ჩვენთვის ყველაზე უფრო ეს არის საჭირო: მივდივართ-მოვდივართ; სამუშაოს დადებებთ, ბერლინი და პარიჯი სად არის თუ აღარ ვიცო, აბა, რაღა კაცი უნდა ვი-

ყო—მართლაც შვეიცარიელი ბევრს მოგზაურობს სხვა-და-სხვა ქვეყნებში ფულის საშოგრადა. ამისთვის სწორად შეხედებით გლეხს ორ-სამ ენაზე მოლაპარაკეს.

გარდა ამებისა გლეხის წიგნთ-საცემია: ანგარიშის წიგნი, სახარება, გახეთების ახალი ნომრება და სხ. საკვირელოა, რომ ლექსთა კრებულის და მოთხრობა-რამანებს გლეხი არ ეტანება. ლექსის მას არაფერი გავეგება. პოეტებოც კი იშვიათია. ქ. ვენეცა, ში მხოლოდ ერთი კაცი სწერს ლექსებს. გლეხი მელექსე სანთლით საქებარია. გლეხის აზრით ლექსის მწერალი განათლებული, ქალაქის კაცი უნდა იყოს. სოფლის სიმღერებშია ნაკლებად გაიკონებთ ხალხურ მოტივებს. სოფლის სიმღერას რომ უყუროთ, გვერანებთ თეატრში ვარ და ოპერას ვუსმენო. ერთი სიტყვით სოფელი თანდათან უაზლოდებდა ქალაქს...

სახვარ-გარეული

ქ. ვენეცა



წმინდა მემე პრჩილი

(668—718 წლებს შორის ქ. შ. ვასუშტის ქრანო-ლოგიით)



ერ კიდევ თორმეტი წელიც არ გასულიყო მას აქეთ, რაც გულ-ამაყი ბიზანტიის იმპერატორი ერეკლე კისარია შემოაყისა საქართველოს და ხაზართა შემწეობით ცეცხლით და ხმლით შემოესრა ქართლ-კახეთი. ამას შეიძლე სულის მობრუნებაც არ დაეცაღეს ჩვენს ქვეყანას, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდის გაისმა კენესა-მუხუხარების ხმა. არაბთა ურდომ, გამხნეებულმა მათის მადღერის მამადის სარწმუნოებით, დასცა რისხვა სპარსეთს და ბიზანტიას, დაიპყრო მთელი დასავლეთის აზია და ქრისტიანობის ტირილ-გოდების ხმამ მოაწია საქართველოს სახლერამდის.

638 წელს ქრისტეს აქეთ არაბის მებდართ-მთავარმა ჰაბიბმა დაამარცხა სამხიბის პატრიკი (მთავარი) არმინაკი მდ. არაქსის ველზე, დააპყრო დეინი, ნახჩევანი და დამორჩილა სრულიად სამხიბი. მაშინ სამხიბის მთავარს მეშველად ჰყავდა კარგა მოზრდილი ჯარი ქართლ-აბხაზეთისა. ჩვენებური ჯარის კაცები დამარცხებას შემდეგ გამოიქცენ თავის ქვეყანაში და მოჰმინეს შიშის ზარი საქართველოს ყოველ კუთხეში. მერევე წელს ჰაბიბმა გამოუგზავნა საქართველოს მთავრებს ადარნასეს, მის შეილებს სტეფანოსს და დემეტრეს, ქართლის პა-

ტრიკებს, მოციქულები და შემოუთავლა დამორჩილება, შემოაწერა კომლზე თითო ოქრო გადასახადი და სატახტო ქალაქის ტფილისის დატოვება უბძანა. ამ დროს ადარნასე უკვე გადაცილილი იყო; ხოლო სტეფანოს პატრიკმა გასცა ბძანება დარჩნეთო და ყოველივე სიმღერე საეკლესიო და კერძო გადაპლეთო ან მიუდგომელ ადგოლებში, ან მიწაში ჩაუაღიოთ. თვითონ ქართლის მთავარმა სტეფანოზმა დააგლო ატრეთვე ჯარის კაცები კახეთ-სთავოლეთისკენ. არაბის მხედართ-მთავარი ჰაბიბი შემოვიდა ტფილისში, გამაგრა ციხე-კოშტები, დაადგინა იქ არაბის ემირი და მიუჩინა მცელოდ სადარაჯო ჯარი. ამიერიდან მარჯვენა მხარე მდ. მტკერისა არაბების მფლობელობას ქვეშ ჩაყარდა. ისინი იღებდენ ყოველ წლიურ ხარჯს ქალაქის მცხოვრებულებისა და თრიალეთ-აბოცი-ლორეს ხეობებს-საგან, გაჰყავდით მათგან ატრეთვე ჯარის კაცები. არაბებს ტფილისი მაინდათ მცორე სომხითას სატახტო ქალაქად; ხოლო იბერიას ჯერ არ რატდენ დამორჩილებულად. პატრიკ სტეფანოზს და ქართლის ერისთავებს ჯერ კიდევ თავ-თავის სამფლობელოები ეჭირათ. ისინი ექებდენ მარჯვე დროს, როცა ბიზანტიის იმპერატორი კვლავ გალიერდებოდა, რომ საქართველოს ერისთავები მთავრის სტეფანოზის ხელქვეით ისევ შვეიცარეულიყვენ, თავს დასხმოდენ არაბებს და უკან დაებრუნებინათ ტფილისი თავის სამხრეთით კერძო მდებარე ხეობებით. მაგრამ დრო მიდიოდა, ბიზან-

ტის ძლიერება თანდათან სუსტდებოდა, არაბები უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ, უთელიდენ პატრიკ სტეფანოზს დამოაჩილებას და ხარჯის ძლევას. ასეთმა მოქმედებამ ქართლ-კახეთისა და ეგრისის ერისთავები თანდათან განაცალკეა, დაშორა თავის მთავარს, მისი მორჩილება და შიში აღარაფრად ჰქონდათ. ამასობაში ვანოლო ოცმა წელმა და საქართველოში მოვიდა ხმა, რომ არაბებმა წაუღეს ბიზანტიის იმპერატორის პალესტინაცა და ემზადებიან ამ საქრისტიანო სახელმწიფოს დარღვევას; ამავე დროს მოისმა ხმა, რომ არაბთა ახალი ჯარი ემზადებოდა საქართველოს დაპყრობას, ჩადგან ბიზანტიას ისე ვერ დაამზობდნენ, თუ ჯერ საქართველოს არ დაიპყრობდნენ. იმ დროს ბიზანტიის, ანუ სამხრეთის სახელმწიფოს საქართველოში ჰქონდა ზურგის გამაგრებული. ამას გარდა ბიზანტია ყოველთვის საქართველოს მხრით იშველიებდა ძლიერს ხაზარებს, რომელნიც გადმოდიოდნენ დარიალისა და დარუბანდის გზებით, როცა ბიზანტიის იმპერატორი დასავლეთ კერძო შეგებებოდა არაბებს ქართველნი და ხაზარები ჩრდილო აღმოსავლეთით ემუქრებოდნენ თავდასხმას და არაბებს ორ-ცეცხლს შუა მოშუყვდნენ. მაგრამ სამშუხაროთ ამ დროს ბიზანტია, ანუ საქრისტიანო საბერძნეთი, ერთობ მოუძღვრდა შინაური განხეთქილებისაგან და ხატის მებრძოლ იმპერატორების უგუნური მოქმედებით. არაბთა ხალიფებმა ამით ისარგებლეს და საჩქაროდ ააესეს საქართველო ურიცხვი ჯარებით, რომ ხელში ჩაეგდოთ დარიალის და დარუბანდის კარები და გაემარგებინათ იმ განზრახვით, რომ ერთი მხრით ხაზარის ჯარებისთვის კრიკა შეეკრათ და მეორე მხრით ბიზანტიაზე საქართველო მოეწყვიტათ. აი, ეს იყო მურვან-ყრუს შემოსევის მიზეზი. როგორც კი შუამდინარეთაგან დაიძრა მურვან-ყრუს საქართველოსკენ, სტეფანოზმა დაფლა თავისი სიმდიდრე და გაემგზავრა ეგრისის (სამეგრელოს). მან თან წაიყვანა თავისი უფროსი ძე მირი, ხოლო არჩილი კახეთს დაავლო ერისთავის ვარაზ გრიგოლის ანაბარად, რომ იქაც დაეთლად საუფლოსწლო სიმდიდრე და ხალხიც მთებში გადახიზნულიყო. ეს რომ აღასრულეს, შემდეგ თვით არჩილიც წავიდა ეგრისის თავის მამასთან. სტეფანოზ მთავარი მოკვდა მურვან-ყრუს შემოსევამდის. მისმა შვილმა მირმა გაამაგრა ანაკოფიის ციხე, როგორც სჩანს არჩილი ამ დროს ძალიან ყმაწვილი უნდა ყოფილიყო. მირმა ვასცა გემანება მთელს საქართველოში, რომ არაბებისთვის ბრძანათა წერილმანი (პარტიზანული) ომი, საცა მოასწრებდნენ წერილ-წერილ არაბთა გუნდებს, გაეცლინათ, მაგრამ არამცა და არამც ერთად ბეგრე

ჯარით არ შეგზოდნენ. ყოველი ხევის მთავარი თავის ხეობაში უნდა გამაგრებულიყო და იქ დახვედროდა.

მურვან-ყრუს შემოვიდა საქართველოში და საჩქაროდ მიაშურა მთას, რომ ხაზართა გამოსავალი კარები გაემარგებინა. შემდეგ კახეთ-მთიულეთიდან გადმოიარა ზემო ქართლზე და შეესია სამცხე-საათაბაგოს. მაგრამ როგორც სჩანს, მურვან-ყრუს ყოველის ნაბიჯის გადადგმავნე ომობდა და უსწოდოდ წინ ვერ იკავებდა გზას. კახელნი, მთიულნი, ზემო ქართლელნი და სამცხე-საათაბაგოს მთავრები თავის მხნე ქრისტეს მხედრებით არ აძლევდნენ მამამდიან მხედართ-მთავარს მოსვენებას, ისინი წერილ-წერილად სათარეშოდ გაფანტულს ჯარებს მურვან-ყრუსას მუდამ თავს ესხმოდნენ და სასც უშებდებოდნენ, მუსტის გაავლევდნენ. ამითი არსსება ის გამძინებება და შეუბრალებლობა არაბთა მხედართმთავრისა, რომლის შემოსევაც ქართულ მატანიეს მოწმობით მეტად სამძიმო და აუტანელი იყო საქართველოს ერისთვის. მაგრამ ყველაზე უფრო დიდი ზარალი და ამასთანავე თავგანწირულება აჩვენეს არგვეთის მთავრებმა დავითმა და კოსტანტინემ, რომელთაც გაუტოლდა მურვან-ყრუს საუკეთესო მოწინავე მხედრობა.

მურვან-ყრუს ცივე უფრო იმან გამხეცარომ ქვეყნის მთავრები ევრსად მოიგლა ხელში, რომ ერთი დაკრით მოესპო მათი ჯარები და ქვეყანა დემოზოჩილებია. იგი ექმნდა მტერს; ხოლო უხილაეი ძლიერი შემოხრები საქართველოსი კი მუმლსავით ეხვია გარშემო ჯარებს, სასტიკად ჰკენდა, ძლიერი რაზმიდან ჯარის კაცებს უტელტდა და ასუსტებდა.

ბოლოს რაც რომ პარტიზანულმა განუწყვეტელმა დაელორმა წინააღმდეგობამ საქართველოს ერთსამ და მის ერისთავებისამ ვერ შესძლო, იგი შესძლო მძინარე ბუნებამ. მურვან-ყრუს ურიცხვი ჯარები დაბანაკებულნი იყვენ ცხენ-გოჯიდან *) მოკიდებული ცხუმამდე (სოხუმამდე) და ანაკოფიამდე; უმთავრესი ძალი კი დაბინაეებულიყო მდინარეთა შო-

*) ცის-გოჯი ვსუშის ქვეყნებით ნაქაქქეს ეწოდებოდა. მაგრამ რა საჭიროა ასე შორს წასვლა, როცა დეჰქდის ქსეე სასელი მეგრულ-სვანურის კილოთი დაწმინდა იმ სოფელში, რომელსაც დეჰქდისე ეწოდება; როგორც ერისთავის ქუჯის დროს იწოდებოდა — გოჩა-ჯიხიში; სიტყვა ვისამა — ქართულად ითარგმნება ნისის და ტანა-ვისამა — ჯანა-ცისისამისვამო, ხევის ახრით, ძველი ცის-გოჯის ნანგრევებია უნდა ექნებოდნენ დიდ-ვისამის და ტანა-ვისამის შორის, ანუ მის გარშემო ადებებში.

რის აბაშისა და ცხენის წყლისა. ერთ ღამეს საშინელი წვიმებისაგამო მოვარდა აბაშა და ცხენის წყალი, გადმოვიდენ ნაპირებზე, გავრთდენ და უმთავრესი ჯარი მურვან-ყრუსი აქ მოიშთო. როგორც კი შეიტყეს ეს ამბავი მირბა და არჩილმა, გამოვიდენ ანაკოფიდან სამიათასი კაცი და დენა უყვეს. შესუსტებული მურვან-ყრუ უკან ევლარ დაბრუნდა, გავკრა ჯარით შაინზლის პირს, მაგრამ აქ მეტსმეტმა ტალახმა და ჭაობიანმა ლაფმა სულ ბოლო მოუღო მის ლაშქარს. ცხენი და კაცი ტალახში ეფლობოდა. მემატიანეს თქმით, ცხენებს კუდები დასტურეს, რომ თინიან ტალახის სიმძიმისაგან ცხენები განთავისუფლებულიყვენ და არ დამდარიყვენო. მურვან-ყრუ გაეშართა ბოსფორისკენ სირცხვილიუღლი და ჯავრისაგან სული ამოსდა; დანარჩენი მისი ჯარი გაიბნა.

მართალია, გადარჩა საქართველო, მაგრამ რა?.. ქვეყანა მეტად განადგურებული იყო. ერისთები

თავთავისთვის იყვენ მიტყუელნი. ერთობა აღარსად იყო. მთავარი მირი ჭრილობით მოკდა, მას დარჩა შვიდი ქალი. მის ძმას არჩილს, რომელმაც ახლა მეფის სახელი იწოდა, უნდა ეპატრონებია თავის ძმისწულებისა და განადგურებული ქვეყნისთვის. ხალხი გაბნეული იყო მთათსაგანებში, ქვეყნის მუშაკი აღარაყენ დარჩენილიყო და მორჩილება აღარსად იყო. აი, საშინელი მფლობარეობა მეფისა, რომელსაც საბრძანებელი აღარსად მოეძვოდა. მართლაც დიდი მხნეობა და შორსგასასტრეტელობა უნდა ჰქონოდა არჩილ მეფეს, რომ კავკასიის ხევეს და ღრეში გაბნეული ქვეშევრდომნი ისევ შემოეკრიბა და ისევ თავთავის ალაგს დაესახლებინა, გასტუებულნი და თავის საკუთარ უფლების მეტიებლობაზე მიტყუელი მთავრების გული ისევ მოველა და სიყვარულით მოექცო მათი ქვეშევრდომობითი გრძნობას

გ. წერეთელი

(შემაგვი იქნება)

ყ ე ე ნ ო ბ ა

(საეკეღაირო სცენა)

გაკო. გედო ჯან, ვერა გოგერა, ხვალ ემზადებიან თუ არა ყვერბასა?

გელა. აბა, რას ემზადებიან? შოგ ქალაქში არ უშეებენ და! ისე რა ლახათი იქნება.

გაკო. ი თქვენი კაცობაც მოისპო. ეგრე დალარებულხართ. ჰი, ჰი დალოცვილი ჩენი დრო! ყვერბა მაშინ უნდა გენახა, ლორის-მელოქოვი რო პოლიცმესიტრა იყო. თვითონ პოლიცია გეამზადებდა ყვერბისთვის.

გელა. ლორის-მელოქოვი ჩენი კაცი იყო. იმასაც ისე ეპირანებოდა ყვერბა, როგორც სხვა ქართველებსა და ეხლა, აბა, ვის შეასმენ, რა უნააეთ?.. ეხლა ხო ჩენებურები აღარ არიან უფროსებათ და!.. აბა, შორიდან მოსულეებსა რა გეკვებათ ჩენი ადათისა.

გაკო. ბიჭო და... ვანა გარეთუბნებში კი არ შეიძლება გაიშართოს ყვერბაი!—ვანა ცოტა ადვილებია მახათის ფერდობებზე?.. თქვენ გამართეთ და ქალაქი სულ ექ წამოვა საყურებლათ, მარამ უნო რო არა გაქეთ?.. მამა-პაპის ადათი სუ დაგეიწყდათ. ეგრე დროს გატარების მაგიერად ტრახტინებში დეთრეით და თქვენ მონაგარს სუ იქა ჰლუპავთ.

გელა. ჰი, ჰი, ვანა მე კი არ ვიცი რო წაე-

ხდით, მარა რასა იქ. ეხლა მძობა და ერთობა აღარ არის. ეხლა გოროდოვოსი დანახეაზე სული გეძებრება.


გაკო. რა დრო იყო და!.. ვასილ ბებუთოსი დროსა! გაეწყვეთ დიდ ორშაბათს ყვერბაი. ყვერბა მოკრთეთ ერთი კრა და ხანუმათს მეორე შეეციით სახედრებზე და წამოგედით აელაბრიდანა. ნარიყალაზე რომ ჩამოგედით, აქ გზები დაგებდა შერკული, გეითხრეს სხვა ყვერის საბრძანებელიაო. სოლოლაკში კიდევ სხვა ყვენი იყო, ჩულურეთში სხვა და კუკიაში კიდევ სხვა, ასე რომ ერთ დღეს ხუთმა ყვერმა გაიანწილა ქალაქი. რა ხმაურობა, რა ზურნა-დაფის ცემა, რა ორორტრიალი!.. მე მაშინ, ესე, თუთხმეტი წლის ბიჭე ვიყავი და მინამ კრივიზ ჩავერეოდა, სულ მიმდობოდა. სადილს უკან ყვერები თავიანთ ჯარებით ერთმანეთს დაეტაკენ, გაჩნდა კრიე. ჯერ ათი წლის ბიჭებმა დაიწყეს, მეგრ ჩემოტელა ბიჭები ჩავერეთ და ვისაც გავკარი ჩემი საცრე, სულ პანტასავით დაეღავე. ბოლოს კრიეი რო გათავდა, წაიყვანეთ ჩენი ყვერები და სუ ყველა მტკვარში ჩავერეთ, მოკრიზით იმთ ბატონობასა და ქალაქი ისევ გაიხსნა, ყარაულეებ მოიშალენ და შეუდექით საერთო მხიარულებას, ვითობა და ყვერებისაგან ქალაქი განეთავისუფლეთ.

გელა. ერთი მითხარი, კაკო, ეგ ყვერბა საიდან უნდა იყოს მოგონილი?..

გაკო. ეს, შეილოსა, იქიდან არის, რომ საქართველოს ბევრი ყვერების ბატონობა გამოუცლია, მარამ

არც ერთს დიდხანს არ შერჩენია თავი; დრო მოსულა ჟამი და ყვენიც გაფუჭებულა, საქართველოს თავიდან გაღუგღია მასი უღლევი.

გელო, მამ ევ ძველი დროს მოსაგონებლად ყოფილა, როცა სისხლის წვიმების დრო ყოფილა, განა?



უკენაზა


გეო. ჰო, და... ყოველ დროს თავის სისხლის წვიმები ჰქონია, ხალხმა არ უნდა დაივიწყოს ხოლმე ასეთი ამბავი გულის მოსაფხანათ.

გელო მამ მოდი, წავალ შეეხმარებ აელაბარს, ეინძლო ხელ ყვენობა ვაგმართოთ, გეო. ჰო შეილოსა, ხალხმა თავისი ადათი არ

უნდა დაჰკარგოს. კარგია ძველის მოგონება; მომდორებული სისხლი გადაჰალისდება.

გელა. ჰაი, თუ ხვალ ჩვენი დაფა-ზურნაც აუკუეტირიათ?..

ქკო. ჰო და ერთი კრივეც მაჩვენეთ ამ მოხუცების დროსა.



ტ ა ს ო

(მ თ ხ რ ო ბ ა).

I

აბა ბობის ბოლოზე იდგა დიდი ოღურა სახლი, რომელსაც წინ ჰქონდნენ ფართე აივანი ძველმეურთ მოხუცურთმებელი სვეტებით და ძველმეურთსავე მოაჯირებინა დასაჯდომებით. ამ სახლის ეზო, ვარს შემოვლილი მაღალი მესრით, რომელშიც დატანებული იყო ეგება ალივის ხეები, თითქმის ათ ქტევაზე მეტე იქნებოდა. ეზო საესე იყო უშველემბელი საზრდილობელი ხეებით: ცაბეებით, ჰადრებით და კობიტებით; საესე იყო აგრეთვე ხეხალით და დობალოთა, მაღლარი ვენათით, რომელსაც გასული იყო თხმელისა და ხურმის ხეებზე. აივანის წინ პატარა ბაღა იყო შევნიერი მისის ვარდებით და სხვა-და-სხვა ნაირი ყვავილებით. სახლს უკან ჩამომწკრივებულიყვენ ხუთი, მაღალს ბოძებზე შეყვებული სასიმიდე, ორი ზორბა ბეღელი, სამზარეულო, მარანი, საბძელი, ბოსელი და სხვა საჭირო ოჯახისთვის შენობები. ყველა ეს აშკარად ამტკიცებდა შრომის მოყვარე კაცსა. მართლაც ვამეხ უშუქლორია, პატრონი ამ სახლისა, განთქმული იყო მთელს სამეგრელოში, როგორც მდიდარი და დაუზარებელი მუშა კაცი. „ასი ტენოსანი რომ შევიდეს ვამეხისას, ყველას შეუწუხებლად დახედება და გაუმსაბინდლებოა“, ამბობდენ იმაზე.

ერთი შევნიერს ზაფხულსა საღამოს, როცა მზე, ნახევრად ჩასული, უკანასკნელად უღიმოდა ქვეყანას და ეთბოვებოდა, ვამეხის სახლის აივანზე ისტდენ, 19—20 წლის ქალი ვამეხისა, ტასო, და 25—26 წლის ყმაწვილი, კოსტა მახარია.

ყმაწვილს თაი ჩაელურა და მეტის მიღღარებისაგან სახეზე ნაცრის ფერი გადაჰკეროდა. ქალი კი ერთობ გაწითლებულიყო და შემბრალე თვალებით მისჩრებოდა საბრალო ყმაწვილსა. ცხადი იყო, რომ იმათ რაიმე დიდ საგანზე ჰქონდათ ლაპარაკი და ახლა შემდგარიყვენ იმითამ, რომ ღონის მოკრება იყო საჭირო. ცოტას ხანს შემდეგ ღრმად

ამიოხრა კოსტამ და თავ-აუღებლად მიჰმართა ქალს ამ სიტყვებით:

— მაშ, ყველაფერი უნდა გათავდეს ჩვენ შორის, ტასო? მეც იმ ყმაწვილთა რიცხვში უნდა გავვირთო, როგორღონი...

— ყველაფერი რად უნდა გათავდეს, გააწყვეტინა ტასომ: ჩვენ შეგვიძლია და-ძმანი ეყოთ და განვაგრძოთ ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება.

— არა, მე ეც არ შემოძლია, სიტყვა ყმაწვილმა და წამოდა. — შევიღობით, ხმის კანკალით დაუმატა მან და თვალები აემღერა.

— სად მიხელო? ჰკითხა ქალმა და თვითონაც ადგა.

— მეც არ ვიცი, მიუგო ყმაწვილმა. — ეიცი მხოლოდ, რომ აღარავითარი საგანი აღარა მაქვს-რა იმისთანა, რომლისთვისაც ჰღირდეს სიცოცხლე; ეიცი, რომ ის ერთად-ერთი ძაფი, რომელიც მაკავშირებდა ქვეყანასთან, დღეს გაწყდა...

— რატომ, რატომ? გააწყვეტინა ტასომ. კოსტა მედგა და ისეთი თვალებით შეხვდა ტასოს, რომ მან თვლი ევლარ გაუსწორა და ძირს დაუშვა. ქალმა იგრძნო, რომ უადვილო კითხვა იყო და შეჩერება.

— მებრალეები, კოსტა; ძლიერ მებრალეები, მაგრამ რა ვქნა? თქვა ტასომ, რომ დაფარა თავისი შეცდომა.

— გებრალეები?.. წამოიძახა კოსტამ. — კიდევ კარგი!.. იქნება იმედსაც გამატან, რომ ეგებ შეიცვალა უსი და...

— არა, არა; ეც არ შემოძლია, გააწყვეტინა ქალმა: მე ბავში აღარა ვარ, რომ დღეს ერთი ვივიქრო, ხვალ სხვა. მე დიდი ხანია გადაუწყვეტე, რომ არ გავთხოვდები და ვეღარაფერი ვეღარ შემაცილენინებს ჩემს გადაწყვეტილებას.

— კარგია, კარგი, თქვა ნაღლიანი ღიმილით კოსტამ: შენ რომ გავთხოვარს არ დაგაყენებს მამა შენი, ეს ცხადია და აგრე რად მიბამ თვალებს? ბარემ პირდაპირ მითხარი, რომ არ მომწონხარ და შენ ვერ წამოგყვები-თქვა.

— გაძღვე პატოსანს სიტყვას, კოსტა, რომ მოგვედები და არ გავთხოვდებ, თქვა მტკიცედ ტასომ.

— მეგერა, ბატონო, მეგერა; უკაცრავად, რომ შევაწუხებთ. როგორც გნებავთ, ისე მოიტყეით. მე რა უფლება მაქვს რომ ამდენსაც ებედავ? ბოდიშს ვიხდი და იმედია, მათატიეებთ დღევანდელს გაკანონებებს... შემვიღობით! დაუმატა ბოლოს თავ-შეკავებით კოსტამ და დაპირა წასვლა.

— ნახვამდის! უთხრა ტასომ და გაუშვირა ხელი.

— მშვიდობით, განიმეორა კოსტამ, მოჰკიდა მაგრად ტასოს ხელს ხელი და მიიტანა ტუჩებთან. ტასო არ წინააღმდეგებია. ორივე ერთობ აღუღლებული იყო.

— არა, მაგრე ნუ მეთხოვები!.. იმედი ჩაქვს კიდევ სწორად ენახეთ ხოლმე ერთმანეთს! უთხრა ტასომ.

— არ ვიცი... მე სხვაგან უნდა წავედე, შორს, და უტებ გატრიალდა, რადგან თვალეზზე ცრემლები მოერია და არ უნდოდა ეჩვენებინა იმ ქალისთვის, რომელიც უყვარდა და რომელშიაც თანაგრძნობა ეერ ჰპოვა.

კოსტამ უტებ ჩაირბინა კიბე და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა ჰიშკრისკენ, თითქოს ეშინია რამემ არ შეაყენოს და უკანვე არ დაბრუნოსო. ტასო უძრავად იდგა ერთ ადგილზე, თითქოს ლურსმით დაუკრავთო, და მიჩერებოდა მიწვეალს კოსტას. მას თვალეზი ცრემლებით ავსებოდა, ორი მარგალიტი კიდევ გადმოაგორებულებოდა, მის შეწვიერს ლოყებს დაქცროდა, ზედ დაქვიდებოდა. კოსტა მივიდა ჰიშკართან და მზოლოდ აქ მოიხედა უკან, მოიხედა და ტასო რომ იმევე ადგილზე წახა, რომელზედაც დატოვა, უტებ გაიბრუნა პირი, თითქოს შერცხვა თავისი სისუსტისო, გააღო ჰიშკარი და გავიდა. კოსტამ რა იცოდა, თუ მაშინ ტასო სულ სხვა ფიქრებში იყო გართული, რა იცოდა თუ იგი ტიროდა? მას ეგონა, რომ ტასოს ქვის გული აქვსო და შეხედვაც კი აღარ უნდოდა მისი.

ტასო კი დიდხანს იდგა იმევე ადგილზე და მიჩერებოდა ჰიშკარს, თითქოს ელის რაღაცასო. კიწება იგი ჰფიქრობდა, კოსტა ეერ მოითმენს ამ გვირად საქმის დაბოლოებებს და ისევე დაბრუნდება ერთხელ კიდევ ბედის საცდელათო? მერე რას იზამდა ტასო, კოსტა რომ დაბრუნებულებოდა? ეინ იცის, რას იზამდა, მაგრამ კოსტა აღარ ბრუნდებოდა და თანდათან ბნელი ზეწურა ეფინებოდა დედამიწას. ოთახებში საწინაღობი დაწინი და ჰიქების რეცხის ხმა მოისმა. ბიჭს სამეფარი შემოეტრია და ჩას აშხადებდა. ტასო მაინც იდგა და მიჩერებოდა ჰიშკარს, რომელსაც თანდათან ჰყოლაპედა სიბნელე. უცრად მოისმა ჰიშკრის ჰრიალი, ტასო შეკრთა და უკვირდებოდა სიბნელეს; გულმა საშინლად დაუწყოა ტემბა და ოგრძნო, რომ მთელი სახე აერთო. „ნუ თუ ისევე დაბრუნდა?“ გაუღელა ფიქრმა ტასოს. „ოჰ, წამოიძახა მან, როცა გავარჩია ჰიშკართან ეილაც და წამოიძახა ისეთი ხმით და კილოთი, რომ კაცი ეერ მიხედებოდა, სახარულის ნიშანი იყო თუ წყენის. „მამა“ წაიჭრჩრულა ტასომ, როცა კაცი მოუახლოვდა სახლს და შევიდა თავის ოთახში. „მადლობა

ღმერთს, ყველაფერი გათავდა!“ თქვა თითქმის ხმამალა ტასომ და მიწვა თავის ლოგინზე, რომ უფრო თავისუფლად მისცემოდა ფიქრებს რომელნიც გავს შემოხვეოდნ. ტასო იწვა უძრავად და ჰფიქრობდა. მას ესმოდა, როგორ შევიდა ვაშენი თავის ოთახში, სადც ჩაი უყვე მზათ იყო, როგორ იკითხა ტასო, მაგრამ არ იღებდა ხმას, არ იმძროვდა. ტასომ გადასწყვიტა არ გასულიყო მამასთან, რადგან მამის თვალი მაშინვე შეამჩნევდა უჩვეულო აღუღლებას თავის ერთადერთ ნუგეშს და მისი მგრძნობიარე და მოყვარული გული მეტად შეწუხდებოდა.

— ტასო, ავად ხომ არა ხარ, შეილო? მოცმა ტასოს ვაშენის ხმა, რომელიც წყნარი ნაბიჯით მოაღდა კარებს.

— არა, მამა. ბეჭვი ვიარე დღეს, ცოტა დაღლილი ვარ და იმიტომ წამოეწვიე, მიუფო ტასომ.

— თუ გინდა, ჩაი, მანდ მიატანინე! უთხრა ვაშენმა.

— არა მამა. უიშისოდაც საშინლად მცხელა... არ მინდა ჩაი უზახუხა ტასომ ტუტილად.

— შენი ნებაა, შეილო, მიუფო ვაშენმა და მიუჯდა სტოლს. ტასომ იცოდა, რომ მამა დიდხანს არ გათავებდა ჩაის მას და შეეძლო თავისუფლად გართულიყო ფიქრებში. მან გამოსწია პატარა სტოლის უჯრა, რომელიც იქვე თავით ედგა, ამოიღო იქიდან რაღაც შეხვეული ქაღალდი და გახსნა. ქაღალდში იყო გამოხვეული ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც წარმოადგენდა 9—10 წლის მეტად ლამაზის ბავშვის სახეს. ტასომ დაიკავა ხელში ეს სურათი და დაუწყოა მხერა იმისთანა ცეცხლის მფრქვევ თვალეზით, როგორც მზოლოდ საყვარელს არსებას უმზერენ ხოლმე. „ნამდვილი ანგელოზია, ანგელოზი!“ ბუტუბუტებდა ტასო და დაჩერებოდა სურათს. მართლა რომ ანგელოზს მოვაგონებდათ მრავალი ნახი სახე, შემკული შეწვიერი ხუტუქებით და გრძნობით სავსე თვალეზი, ფართო მუბლს ქვეშ მოქცეულნი, იმ ბავშვისა, რომელიც სურათზე იყო გამოყვანილი, დიდხანს დაჩერებოდა ტასო ამ სურათს და ეტყობოდა, რომ საიმიანებებს, კმაყოფილებას ჰგრძნობდა. ეისი იყო ეს სურათი, ან რას ჰფიქრობდა მაშინ ტასო? რა ენატებოდა თვალწინ, რას იგონებდა ეს ჯერ ნორჩი ქმნილება თავის მოკლე სიცოცხლიდან?

აი, რასა.

დავით შერეული

(შემაღვი იქუხა)

კირლიზის მხარე და კირლიზები

მრალის მდინარის მიდამოს ურალის მთიდან დაწყებული კასპიის ჩრდილოეთ ეოლის მდინარემდის თვალგალწევენს მინდვრებში არიან გაბნეულნი თათრის მოღმის ელები მონგოლის ტომისა. ესენი არიან ნაშთი იმ მიანგოლებიდან მოყოლებული მთელი ინდოეთი, სპარსეთი, რუსეთი და გადმოწედა ჩვენ საქართველოსკ მესამეტე საუკუნეში და ორასი წელი ჰყავდა საქართველოს ხემწიფობა ამ ძლიერს ხალხს კლანტებში გამოკლული. დღეს ამ ქვეყნის დამპყრობელი ხალხიდან აქა-იქ გაბნეულნი არიან პატარ-პატარა ურდოებად სხვადასხვა ტომის მონგოლები. იმათ დიდხანია მამაღია-

ნობის სჯული აქეთ მიღებული, თუმცა ამაოდ მოწმუნება ძველის კერპთაყვანის მცემლობისა ჯერ კიდევ არ გამქრალა მათ შორის. ამ ტომებში კირლიზები ყველაზე მარჯვე და დაუცხრომელი მოძრაეი ცხენოსნები არიან. იმათ ჰყავთ საქონლის ჯოგები, აგრეთვე ცხენის ჯოგებიც; ხშირად იცებებიან ცხენის რძითა და ხორცით. კირლიზები თავისთავს უწოდებენ „ყაზახებათ“. ეს სიტყვა იმერეთში დარჩენილია უგვარო, დაბალი წოდების კაცის სახელად, რომელსაც აკლია ზრდილობა და განათლება. შესაძლებელია, როცა მონგოლთა ურდომ თევუთარისამ გარდაელო აჭარის მთები, მივიდა გურიას, შეელო იმერეთი და ეწვია ქუთაისს დავით ნარინს, იმერლებს მათი ევლური ხასიათი და ბრიყული, გაუზრდელი ყოფა-ქცევა. მშულს ჩარჩათ და აღბეჭდეს ყოვე-



კირლიზები

ლი ევლური და უზრდელი კაცის თვისება მათივე სახელით „ყაზახი“. კირლიზის თათარი ძალიან სტუმართ-მოყვარეა, გვარსა და გვარს ხშირად მოსდით ერთმანეთში ჩხუბი, თავსდასხმა და აკლება; მაგრამ მაგიერად სტუმართ-მოყვარეობა საუცხოვო იტონ. მტერიც რომ მიუვიდესთ შინ,

მანც კეთილად ისტუმობენ და მიაცილებენ უფნებლათ მის ურდომდის. ისინი უკან დასდევნ თაყინთ ჯოგებს, ხშირად იცლიან ადგილს და მთა-ბარაობენ. მათი სახლები ნაზდის კარეგებია, რომელთაც დადგენენ იქ, სადაც ბინას დასკემენ, და როცა მოუწინებთ აყრა, თავის ნაზდის კარეგებსაც აშლიან,

მეკერენ, დაუღებენ ურემზე და ცოლშვილიანად გაუღებინან ახალ ბინაზე.

კირილიშებს უყვართ ხშირად ცხენით ჯირითი: მათი ახალგაზდა ქალები წვენიერი ცხენოსნები არიან და კაცებს არ ჩამორჩებიან ჯირითში. ოჯახში საქმეს განაგებს მოხუცებული ქალი: დედა, ან დედის დედა და მას დიდი გავლენა აქვს მამაკაცებზე. კაცებს თავისუფალ დროს ძალიან უყვართ ქორამინონათი ნადირობა. აქ დახატული სურათი წარმოადგენს იმ დროს, როცა კირილიშებს უნადირნიათ და ქორი ცხენის უნაგირზე დაჟვდარი მიჰყავთ ბინაზე.

კ რ ი ტ ი კ ა

ქართველი გლეხის შეიღო

(„ბნელი“ — მოთხრობა ნ. შეღანასია, 1891 წ.)

I

მ ორის წლის წინად ტფილისის „წონების მგეკედელ ქართველთა აშანავაბამ“ ცალკე დასტამბა ბ-ნ ნ. მეღანასის (ჰსეფედონიძე) მოთხრობა „ბნელი.“ სულ წინაპირველად კი ეს მოთხრობა დაიბეჭდა ვაზ. „ივერიაში“ ფელეტონებად, მაგრამ ამ ნაწარმოებისათვის ჯეროვანი ყურადღება არაყის მიუქცევია. ჩვენ, რასაკვირველია, ამ გარემოებას სრულებითაც არ გაუკვირებდით. ისედაც მიმკვდარებულს და განადგურებულს ქართულს ლიტერატურაში, ჩვენდა სასიხეობად, დღემდე გავსმის სალიტერატურო ასპარეზისათვის სრულიად მოუშვადებელ და უციც მგლანებელთა მიერ მარტო ოდენ ლანძღვა-გინებისა, ანუ ქებათა-ქებისა და შესხმათა ხმა, რომელსაც, მოგახსენებენ, იმოდენი თვალთმაქცობა და თილისმის ძალაც აქვსო, რომ ქება-შესხმულის „თავდაბლობ“ აეტაროს ჩიელ გულს სოალობს, მოიმადლიერებსო... შესაძლებელია, ასეთი გარემოება რომელიმე ერთ-ერთის მხრისთვის „კი სათალი მსუქანი ცხერის დუმიც“ გაზღდეს!... მე ეს არ ვიცი, და ესენი ამ ამავს მხოლოდ იმითი, რომ იმ უციც „რეცენზენტებს“ ქებით გალღებულმა აეტორმა, ალბად, სამაგიეროდ, მადლობა უნდა გადაუხალოს, თუ სხვაფერა არა, ვაჟო, მხოლოდ და მარტო ზღილობის ნიშნად მაინც.

მაგრამ ვაი... რომ ამ გულსაკლავი და სასაციოლო ცერემონიით არა თავდება ეს ნამდილი ყიზილბაშური თვალთმაქცობა და ფრიად მოსაწონებელი ოინი აზიის შეილებისა. „დაუჭტინე“ (ცესესულობ ამ საუცხოო სიტყვას მეღანასიან) რეცენზენტები

ერთ-მეორე დიდად დახაზირჯანებულნი, პირველის თითის გაქნევისა და დაწრწუნუნებისათავე გასაოცარი სისწრაფით თავს მაღლა წამოჰყოფენ და „შეკქმინან... ასტებენ ერთს უშველებელს, დაუსრულებელს უწმარწური ერთს ლანძღვა-გინებას. მე ერთს წამსაც ნებას არ მიეცემ ჩემს თავს, რომ თქვენი ყურადღება შეეფარო და დავასახელო ის პატრიონანი და ნიჭიერი მუშაკნი, რომელთაც ჩირქსა სტებენ და ლანძღავენ ჩვენი „დაუჭტინე“ რეცენზენტები. ეს არც საჭიროა მისთვის, ვინც ამ თუთხმეტის და ოცის წლის განმავლობაში ჩვენს ლიტერატურას თვალს ადევნებდა... სამაგიეროდ ვერ წარმოადგინო, რა ქებათა ქებას და დიდების სახელს უძღვინან ყოველგვარ უნიკობას და უეციობას! რეცენზენტები ასტებდენ ლაპარაკს და დიდს ლაპარაკსაც, უეკველად, ისეთი ნაწერების შესახებ, რომელთაც თან ეწერა ესიმე „დიდებულის“ მწერალის სახელი, ან თუ ადვილად გადასაფურცლავი და უფრო ადვილადვე შესაქება-სადიდებელი იყო.

მაშინ, მოგეცათ სიცოცხლე, თვლის წარმატო და გულის გადასაყოლებელი სურათი ჩვენ წინ იხატებოდა! იმ წამსვე ასტუდებოდა გეკიანურებული სრულიად უაზრო და დაბალი ღირსების ფელეტონების ჯღანა. კალმების წვერები ქალღღებ საზარელს წრიპინს შექმნიდენ, თითქოს ცელდებოდად ამ უსუსლო საწნებს ყოველად მომთმენი და სულგრძელი ქალღღი, რომ იმოდენი სისულელით ზურგს უჭრებდენ ჰეგონებოდა, შეწუხებულაო და ამიტომ მოთქმით სტირისო ასე მწერით. და ის „დაუჭტინე“ რეცენზენტებიც, რომელნიც კეუა მზიარულ და შინ გაზრდილ ხუმარებივით, მუდამ სულელურად იღრიკებიან და ლიტერატურაში „პრიციელაკების“ მოსიყვარულე რედაქტორის ქოსმანად სთვლიან თავიანთ თავსა, მზად არიან ერთს რომელსამე უმიწონებლო ნაწარმოებს, ან საგანს ჰწინ სრულიად უშიწინარისო და უთავბოლო სატრია უძღვან. ძღენისათვის ეს გულ-უბრყვილო, ან — ბარემ ამჯარად ესთქვათ — ცოტად მოსულელიო, მარტო მგრძნობელობის ტყვე უდარდელი ქართველი კაცი, რასაკვირველია, დიდსა და განუსაზღვრელს მადლობას სწირავდა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ისეთი ნაწარმოები კი, რომელნიც მართლა შესანიშნავნი არიან, ძლიერად აღძრავენ და ამუშავებენ კაცის გრძნობა-გონებას, ღრმად და სასესებით ენებაან ჩვენის ერის ყოველ დლიური ცხოვრების ქებაანს, სრულიად უიეს ყურადღებოდ, ასე ესთქვათ, განზე რჩებიან და ლიტერატურის საფარველ ქვეშე არ იხსენებიაან.

სწორედ ასეთი ბედი დემართა ბ-ნ მეღანას „ბნელიასც“, რომ მას პატრონად არ აღჩენოდა წმი

ნდის გულითა და სურვილით „ქართველთა ამხანაგობა.“ ეს ხომ ასეა და ჩვენ, ამიტომაც, განზრახვა გვაქვს ამ ვაზად ყურადღება მივაქციოთ ამ მოთხოვნას და, შეძლებისდაგვარად, ვისაუბროთ, როგორც იმის სალიტერატურო ღირსება-ნაკლულეგანებასა და მნიშვნელობაზე, ისე, მოგვეცეთ ნება, მისგანო აღძრულს (თუმცა, უნდა გამოვტყდეთ, „გამო“-ებით დაწერილის „კრიტიკის“ წინააღმდეგი ვახლავართ) საგანსა და საკითხზედაც. თვით მოთხოვნასაც არა აქვს მართო სალიტერატურო მნიშვნელობა: „ბნელო“ სოცხალი სურათებითა და სცენებით ჰხატავს აღმოსავლეთის საქართველოს სოფლელის ყოფა-ცხოვრებას, სახეს და მთელი მდინარეობა მოთხოვნისა ერთი მხარეზე მიყოლილი მოქმედებაა და არა „მშურის სიტყვის“ ავტორისებური დაუსრულებელი მარტოაღენ ლაქლაქი და ენის ქაველი..

სიტყვა-კაზმულის ნაწარმოების დასაფასებლად, როგორც მოგვხსენებათ, ლიტერატურაში ხშირად და ძალიან ხშირადაც გაიძახიან, რომ უმოთერესი საგანი ყოველგვარ ხელოვნების ნაწერისა იმაში მდგომარეობს, რომ უმეტე-ნაკლებოდ დაკვირვებას ცხოვრება; ან აღამაღლოს და განაფუკაზოს ჩვენი გრძნო-

ბა-გემოვნება, განაკეთილშობილოს და განავითაროს აღამაინის სურვილი და მოთხოვნილება, შეგავყვაროს კეთილი და შეგვაძულოს ბოროტება და სისამაგლე. მაგრამ თუ მართლა მოხდა სასწაული და ქვეყანას ეჩვენა ეს ნაწარმოები, სადაც ნიჭიერად და გონიერად დაკულია ეს აზრიანი და ყოველად სამართლიანი მოთხოვნილება, ჩვენ იმ წამსვე, მაშინვე ტუჩების უცნაური თამაშობით უკან დაეხვეთ, ზმის ამოულებლად პირს დაეპირიდეთ ავტორისა და ქებას შეგასამთ პრეტული-პრეტული ვაკრიანლებული სიტყვებითა და „აღმაფრენის პოეზიით დაფერადებულს უსაქმობასა და უნიჭობის საშინელ ნაკულულუტეცსა. ბელეტრისტულ ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ წინაპირველად უქველად, ცხოვრების სინამდვილის ტილოზე ნიჭიერად გადმოტანას, პოეტურად ხორც-შესხმას, ხელოვნურ სიმართლეს, მაგრამ, თუ გაწყრა ღმერთი, ეს სიმართლე პირ-წამინდად, ფერ-უმალიო წაუსმელი და აბრეშუმის ბაღად გაღუფარებელი წინ დაკვიდა, ჩვენ იმ წამსვე დარცხვენილს თვალებს კრძალვით ძირს დაუშვებთ და ყვედრებით ვიტყვი, რომ ასე ხელაღებული სიაშკარავეც არ გავაწილაო.

(შედეგი იქნება) ბომლეული

სახუმარიო ვასართობი



რ. იმდენი წელიწადი გასძვლით რამდენი დღე იყოს, რომ მე კალამი ხელში არ ამეღოს, მაგრამ ამ სიბერის დროს კი ამატროფა ცოლდემ, რაღაცამ შემხიხინა გულში და თქვენმა მოაზლებაც, ე. ი. ჩემმა მეუღლემ, ზედ დამაკეცა და ცეცხლი ამოვიკიდა: „ვიხედ ნაკლები შენა ხარ, რომ მეცამეტე გოჭივით განაპირახე რჩებიო? არ იცო, რომ ახლანდელი დრო, კულაბუკობისა და ყვირალაობის დრო არისო? ქვეყანას თუ თვალსა და ყუროში არ ეჩხირე, ვინ შემოგხედაეს და კაცად ვინ ჩაგაგდებსო?“ ამ კლოზე აუკიდა ჭიანჭურივით და რაზემ არ გამაგანა?: აი, ბატონო სიტყვა-სიტყვით მე და მისი საუბარი:

— ჩიხია-ქაჩის ცოლის შემარცხენია... გინდა თუ არა, თავი გამოიჩინე!...—მეკაასება ევას ჩამომავალი.

— როგორ? ჩას ანობო! თავის გამოჩენა განა აბრე ადვილია?—ეეკითხებოდი მოჩიჩილად.

— როგორც გინდა!.. მოახებრე კი და!.. გინდა მაღალ ზეზე გადი, წყროში მოექცე და იქიდან გამელელ-გამომელელებს ქვის სროლა და ლანძღვა-გინება დაუწყე, რომ შეგენიწონი!.. თუ არა და ჯა-

ნახის თოკზე მიანიც გაიარ-გამოიარე... იქაც დაგინახვენ.

— მერე, ჩემი მუხლებისა და ფეხების პატრონი, ხომ გამოვარდი და გავსქდი!..

— აი, შენ და შენს მუხლებს!.. მაშ თუ ეგები არ შეგიძლია ლიტერატურობა მიანიც დაიწყე... მიპყვე ხელი მწერლობას.

— რაო? რაო? „მინიცო!“ როგორ თუ მიანიცა? განა მწერლობა „მინიცობა?“ არც სწავლა უნდა, არც ნიჭი, არც ენის ცოდნა?

— რა საქირთა ანც ერთი?! ენაო, რომ ანაბობ.—მაგაზე სხვას ვის შეუწუხებია თავი, რომ შენ იტყინო?! გინდა სულ ან ჩინური სწორე ჩიქორთულათ, არავეინ არაფერს გეტყვის!.. ან თუ ვინმე დაგიწეროს შენც ასე უთხარი: „ჩვენ სოფელში, სადაც ჩემს გარდა ხუთი კომლი სხვაცა ცხოვრობს, სულ ამ ერთი ლაპარაკობს და მაშასადამე სააღბო ენაც ეს უნდა იყოს მთელ საქართველოსათვის თქო!.. სხვებიც ასე არ ანაბობენ?.. იმათი მიხედვით შენც ასე გაიმეორე და მოჩჩა, გათავდა... დამჯერე ბევრი გამოიჩინებდა.

— ესთქვით ეგ აგრეა!.. ცოდნა! სწავლა? ნიჭი?.. ამათ რაღა ეუყო?..

— მძ!—კაცი დაბერებულაზრ და ჯერ კიდევ ვერ შეგიტყვია, რომ ახლანდელი ლიტერატურობა

ქადაგად დავარდა!.. ქადაგს, პატარა სიტყვით თუ მისცა, ენის ტრიალის მეტი არა ეჭირებოდა-რა!.. კითხვა ხომ იცო? წაიკითხე სხვების ნაწერები, გაიზვირე სხვისი აზრები კაქკაქებით და შენათ არახუნე წამ და უწუშ... ას ხომ იტყვი და ათასს, როგორ იქნება, რომ მკითხავისა არ იყოს, ერთი მაინც დროსა და ადგილს არ მოხვდეს... და მაშინ... მაშინ გაგივარდება ხმა კოდეულ ნინოსავით და შენც შეიფერე... მეტი აღარა გინდა-რა!.. კრიტიკოსობა და პუბლიცისტობა თუ გინდა—სხვისი სიტყვები გაიმორე; პროზებისა და დრამების წერა თუ გსურს—გამოთარგმნე მხოლოდ სახელები, როგორც ადგილების ისე პირების გამოცალვე... გადააქართულე და ს'ვა არა გინდა-რა?...

— ლექსები? — ლექსები როგორღა ეწერო?

— ეგ უფრო ადვილიც არის? ის დრო წაივდა, როცა ლექსებში სიტყვას მარგალიტებით აწყობდენ! — და ოქროს სიმღებზე ასხამდენ, „ხელის-ხელ საგამგანებლად“.

დღევანდელი მიხედვით ლექსში სიტყვები ლოზბოს მარცლებივით უნდა აკინძო უსწორ-მასწორად, ასე რომ ერთი ალთას გაიყურებოდეს და მეორე ბალთას. ოქროს სიმის მაგიერ, ისეთი გრებილი უნდა გაუყეთო, რომ ძაღლის სახჩრობლად გამოდგეს!.. სიტყვება არახუნო, პაზრი აბრაგუნო და მორჩა, გათაღა!.. მგოსანი!!!“.

დღეაკაცმა, ღმერთთან მოსაუბრე პირველი კაცი შეაცოდინა, თორემ—მე, რომელსაც პრისტავებთან გამოლაპარაკებისაც კი შეშინია, რასაკვირველია შეშაცდნდა დღეაკაცი.—შეეცდი და ისე გამოიჯდა ძეალ-რბოლში მწერლობის სურვილი, რომ თუ ლიტერატორობა არ დავიწყე, სწორეთ გავგიჟდები—მაგრამ, მე მაინც კიდევ, ისე არ მესმის მწერლობა და მისი მწიშნელობა, როგორც ჩემ ცალს... ერთხელ რომელღაც ჩენმა მწერლობაგანმა სიტყვა, რომ „მწერლობა მოძღვრობა და მასწავლებლობა ხალხისა“. მეც ასე მგონია. დავიწყებ მოძღვრობას, მაგრამ რადგანაც ბევრი თვითონაც არა ეცო-რა, დიდებს თავს დაევენებენ და მხოლოდ უსუსურ ბავშვებს ვასწავლი ხოლმე... აი, იმ უსუსურ—ბაღნებს ჩენის ლიტერატორისა, ცხოვრების სარბიელზე, რომ გამოსულან ჯოხის ცხენებზე გადამჯდარი და დაჯირითობენ. საჭირო არის, რომ რომელსამე ქუჩრნალში ან გაზეთში ბუდე გაიყეთო „ვიეგო პატარა ქოხ-მახი, ზედ დავწერო „ალუუუ!“ და იქ შემოვიყენაო ხოლმე ჭკუის სასწავლებლად წრეს გადასული პატარა ბიჭუკელები. ამ განძრახვით ბევრ—რედაქციას მიემართე, მაგრამ არსად მიმიღეს: „ზოგ-

ან მიიხრეს, რომ საბავშვო კბილი მოვიცალვითო!“ ზოგან პირ-აქეთ შემოამჩილეს: ჩენი ბავშვებიც საქმეს გვიჭირებენ, შემოგვეჭყვიან და რაღა შენი „ალუ“ გვეჭირებოდა და სხვანი. დავრბი ასე და ახლა თქვენზედა დამრჩა იმედი. თუ ნებას მომცემთ, რომ ხანდახან ამ სათაურით ე. ი. „ალუუუ“-ით ეწერ ხოლმე დიდთ დამავლებთ...

თქვენი უმოძინავისა გ'ვაა.

რედაქცია დიდი სიამოვნებით ეთარხმება ბნ-ცუკიას, მაგრამ ამას კი სთხოვს, რომ მხოლოდ ხანდახან, იშვიათად, სწეროს ხოლმე, რომ ბავშვები ნამეტნავედ არ შეაწუხოს და დიდებსაც თავი არ მოაბეჭროს.

აკაკი

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

განხილვა

დაფუძვნი საზოგადოება

ი ა კ ო რ ი (ლუხა)

უმაღლესად დამტკიცებულ ი 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულადის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებით სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

მიიღება ყოველნაირი მოძრაიისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასალ-წამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ადვოტის ალუქსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დასველიამინოვის ქუჩაზე № 2.

გ ა მ ო ვ ი დ ა

მ. წ ი რ მ ი თ ლ ი ს ოსწულება

ტომა I

კოკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბიკა

ფასი 60 კაპ.